განკარგულება:**g-81. 81241154**
თარიღი:**24/04/2024**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №9

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის თაობაზე საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მოწონებული იქნას ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე წარდგენილი საპროექტო წინადადება: ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურისა და შემოქმედებითი სივრცეების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ.

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, ხელი მოაწეროს გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლობასთან ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერის ხელშეკრულებას.

მუხლი 3. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს საგრანტო თანხა 5000 ევროს ოდენობა გამოიყენოს ფიზიკური აღნუსხვის ჩასატარებლად.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი